



NOVA FIX

შპს ნოვა ფიქსი  
ს/გ 445610385

N ნ/ფ-12.04.2024/01

თარიღი: 12.04.2024

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ბატონ ვასილ გედევანიშვილს



შპს „ნოვა ფიქსი“ -ს ს/ნ 445610385

დირექტორის ზაქარია ხიზანიშვილის

### სკოპინგის განცხადება

ბატონო ვასილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქ. თბილისში, სამრეწველო ზონაში (დავით გურამიშვილის გამზირ N 188-ში) შპს „ნოვა ფიქსის“ (ს/კ: 445610385) მიერ დაგეგმილია პლასტიკური მასალის საწარმოო ობიექტისა და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაცია. საპროექტო საწარმო უზრუნველყოფს წნეხილი პოლისტიროლის ფილების წარმოებას და რეალიზაციას.

2023 წლის სექტემბერში შემუშავდა წნეხილი პოლისტიროლის ფილების საწარმოს და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება, რომელიც 2023 წლის 26 სექტემბერს განსახილველად წარდგენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 24 ოქტომბრის N580/ს ბრძანების შესაბამისად მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება და საპროექტო საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „ნოვა ფიქსი“ დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სკოპინგის პროცედურის გავლა.

მომზადდა სკოპინგის ანგარიში და წარმოდგენილი იქნა განსახილველად, თუმცა შემდგომ ჩვენს მიერ 2023 წლის 27 დეკემბერს წარმოდგენილი სკოპინგის განცხადების შეწყვეტა ვითხოვეთ გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით (სააგენტოს რეგისტრაციის N 918 30.01.2024წ).

აქვე გაცნობებთ, რომ საკვლევ ტერიტორიაზე საპროექტო საწარმოს განთავსებისთვის შერჩეული შენობა-ნაგებობის (N03/1) მომიჯნავედ არსებულ შენობაში (N04/1) მოწყობილია აგრეთვე შპს „ნოვა ფიქსის“ კიდევ ერთი საწარმოო ობიექტი: წებო-ცემენტის საამქრო. წებო-ცემენტის წარმოება არ მიეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ (I და II დანართებით) განსაზღვრულ საქმიანობათა ჯგუფებს და არ საჭიროებს კოდექსით განსაზღვრული პროცედურების გავლას, თუმცა

იგი წარმოდგენს „გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტს“ დაქვემდებარებულ ობიექტს. ვინაიდან, აღნიშნული საწარმო ასევე შპს „ნოვა ფიქსის“ საკუთრებას წარმოდგენს და მდებარეობს პოტენციურ სანებართვო ტერიტორიაზე (ს/კ:01.12.01.003.288), მიღებული იქნა გადაწყვეტილება - გზშ-ის პროცედურის ფარგლებში წნეხილი პოლისტიროლის ფილების წარმოების პროექტთან ერთად წებო-ცემენტის წარმოების პროექტის განხილვის შესახებ. ზემოაღნიშნული საწარმოების ფუნქციონირების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების „ერთი ფანჯრის“ პრინციპით ანალიზი შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს მოსალოდნელი ზემოქმედების ობიექტური შეფასება (მათ შორის, კუმულაციურ ჭრილში) და სათანადო/ქმედითი გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა წინამდებარე სკოპინგის ანგარიში. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, სკოპინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს „ნოვა ფიქსი“ -ს წნეხილი პოლისტიროლის ფილების საწარმოს და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშის ელ.ვერსია CD დისკზე;
2. შპს „ნოვა ფიქსი“ -ს წნეხილი პოლისტიროლის ფილების საწარმოს და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია ხელზე;
3. SHP ფაილები ელ.ვერსია CD დისკზე.

პატივისცემით,  
დირექტორი:

  
ზაქარია ხიზანიშვილი

